This text was downloaded from http://georgianmanuscripts.uk/, where you can also find other texts of the Wardrops' Collection Online (WCO). It is published within the framework of the joint research programme of the University of Oxford and SRNSFG in Georgian Studies, under a CC BY-NC-SA 3.0 licence.

CATALOGUE OF THE WARDROP COLLECTION ONLINE — MS. Wardr. d. 5 Oppozicia ოპპოზიცია oppozic'ia

Table of contents

1.

1.1.

[Page 1]

A copy of a Ms. journal secretly prepared by and circulated amongst the Grammar shcool boys in Kutais.

This copy was specially written for us and presented to us by some boys whe we were staying in Kutais in December 1894.

The above written by M.W.

[Page 2]

1.2. პატივსაცემ და სათაყვანებელ ინგლისელ და ძმას, როგორც მცირე ნიმუში მათთადმი განუსაზღვრელი მადლიერებისა და გულით და სულით დანდობისა ქუთაისის ქართველთ გიმნაზიელთაგან.

⟨ჰხამს მოყვარე მოყვრესა ხვაშიადს არ უფარავდეს.⟩ პატივსაცემ და სათაყვანებელ ინგლისელ
და-ძმას,
როგორც მცირე ნიმუში მათთადმი განუსაზღვრელი
მადლიერებისა და გულით და სულით დანდობისა
ქუთაისის ქართველთ გიმნაზიელთაგან.

ვაჲ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!

ყოველმც შენგან მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუთხრვრი სადით ძირსა!

და მაგრა(მ) ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა

შოთა რუსთაველი.

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, წ,თ, ი, კ, ლ,
ა, ბ, გ, დ, ე, ზ, წ, თ, ი, კ, ლ,
მ, ნ, ჲ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ ფ, ქ,
მ, ნ, ჲ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ ფ, ქ,
ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ, ხ , ჯ.
ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ, ხ , ჯ.

კოკასა შიგან რასაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.
კოკასა შიგან რასაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.

1.3.

[Page ა]

Figure 1. ოპოზიცია N დ

განათლება, ერთობა ძმობა ამხანაგობა, სიყვარული, მუდმივი მეგობრობა.
განამტკიცე აზრი წმინდა, გულს სიწრფელით ახურვებდე !

ჩყჟდ-სა წელსა, ქრისტეშობისათვის ა-ს დღესა.

გამოდის ორ თვეში ერთჯერ.

1.3.1. ოპოზიცია

„ოპოზიცია“ ვართ სწორეთ,

შეჭურვილ- მომზადებული,

მუდამ სიბნელის მდევნელი,

ნათლისთვის დავდადებული.

ხანჯალი, ხმალი მარტყია;

თუმც ჯერ არა აქვთ კარგი ჭრა,

მაგრამ თან-და-თან მოვპირავ:

ნათლისთვის არა მშურს განჯა.

და შეიძლება ოდესმე

მოლესილ-ამოპირული

ისინი წყვდიადს შეებან,

ასტეხონ ომი გმირული.

ამხანაგი.

[Page ბ]

1.4. სასიამოვნო შემთხვევა. სამშობლო ენა ყველასთვის სავალდებულოა. - სამშობლო ენა ადამიანის ბუნების ძიძაა- (მზრდელია). - რატომ უნდა გიყვარდეს იგი სხვა ენაზედ უფრო?

1.4.1. I

ვისაც ჩვენის ლიტერატურის მოძრაობისთვის
ამ ათი წლის განმავლობაში თვალი უდევნებია, უთუოდ შენიშ-
ნავდა მასში ერთ სასიამოვნო მოვლენას ქართულმა ლიტერა-
ტურამ უფრო ჩქარი ნაბიჯით იწყო წინ მსვლელობა და მიი-
ღო ნამდვილი ლიტერატურის ფერი და ხასიათი: ამ ათ წე-
ლიწადში გამოვიდა ზედი-ზედ წაწყობილი მრავალი
შესანიშნავი პოეტური და ბელლეტრისტური ნაწარმოები,
ტომებად დაყოფილი, და დაარსდა რამოდენიმე ლიტერა-
ტურული ჟურნალ-გაზეთი (თვიური სალიტერატურო ჟურ-
ნალი „მოამბე“ , საკვირაო, სალიტერატურო გაზეთი „კვალი“
და სამეურნეო გაზეთი „მეურნე“) სასიამოვნოთ და ღირს-
სახსოვრათ დღევადნელი ქართველის ცხოვრებიდგან უნდა
დარჩეს ეს შემთხევა, მით უფრო, რომ ეს დრო არის ნამდვი-
ლი ერის სათავე გონებრივი მოძრაობისა, რომელსაც ეწო-
დება „ლიტერატურა“ კიდევ მით არის სასიამოვნო ეს შემ-
თხვევა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მან ახლავე იქონია სასურ-
ველი გავლენა საზოგადოდ ქართველობაზე, ნამეტურ ქარ-
თველ მოზარდ თაობაზედ, ანუ მოსწავლე ახალგაზრდობა-
ზედ. მოსწავლე ახალგზარდობა დიდის სიამოვნებით მიეგე-
ბა ამ შემთხვევას და მწყურვალეთ დაეწაფა მშობლიურ სწავლა-
მოძღვრებას. მაშ გაიჩინეს სამშობლო მწერლები და პოე-
ტები და გატაცებით დაიწყეს მათი კითხვა. ახალგაზრდობის ამ
[Page გ] გვარმა ლტოლვილებამ სამშოვლო მწერლებისადმი (რო-
მელსაც აქვს მიზნად ნათლათ და დაუმხატოს თავის ერს სა-
ქართველოს ძველი დიდება და ნაციონალურ სიამაყე, რომ
მით გამოაფხიზლოს სიტორიული უიმედობით გულ-
გატეხილი ქართველობა და ააშოროს ამით გადაგვარება,)
უნაყოფოთ არ ჩაიარა ამათთვის. ამან აალაპარაკა ერთ-
ხმად მოზარდი თაობა თავის ნაციონალურ ღირსებაზე და
გაუძღვა მას ენის შესწავლის და სამშობლოს კეთილ-
მდგომარეობისათვის შრომის და მეცნიერების სურვილი.

დღეს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ინტერესით
კითხულობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მან შეიგნო,
რომ ამდენ ხანს ის სრულიად მოკლებული, დაშორებუ-
ლი იყო სამშობლო ნიადაგზედ აღზრდა-განვითარებას,
და ამიტომ წიგნების კითხვასთან დაებადა ენის საფუძვლი-
ანად შესწავლის სურვილი. ამ მოზარდ თაობამ განიზ-

რახა ქართული ხელნაწერი ჟურნალის დაარსება, რის
საშვალებითაც შეიძლება ურთიერთობისადმი გულნადების,
აზრების გაზიარება და შემუშავება, რომ ამ ნაირათ საერთო
მეცადინეობით განვითარდენ დედა-ენაზედ. სიამოვნებით ვე-
გებები ამ სასიამოვნო სურვილს და ვუცხადებ თანაგრძნო-
ბას ჩვენი ჟურნალის თანამშრომლებს და მზადა ვარ შე-
ძლების-და-გვარათ ვემსახურო ამ ჩვენს კეთილაზროვან საქ-
მეს.

1.4.2. II

ენა იგივეა ერისათვის, რაც ყოველ ბავშვისთვის
ძუძუ; ენა ერს ზრდის ზნეობრივად და გონებრივად; ამიტომ,
უყვარს სამშობლო და აზრათ აქვს თავისი მშობე-
[Page დ] ბელი ერის წარმატება, ის უპირველეს მოვალეობათ უნდა სთვლი-
დეს დედა-ენის შესწავლას. აქედამ ცხადია, რომ დედა-ენის შეს-
წავლა ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის სავალდე-
ბულო უნდა იყოს.

სამშობლო ენა ყველა ენაზედ უფრო საჭირო არის ამიტომ არის,
რომ მხოლოდ ამ ენაზედ შეიძლება სრულიათ განვითარება გო-
ნებრივათ და ზნეობრივათ და ბოლოს ძეშმარიტი აზრების გამოთქმა.
მსოფლიიო გენიოსები, რომლებიც ბრწყინავდენ კაცობრიობის
თვალში, აღიზარდენ სამშობლო ნიადაგზედ. ამ აზრის და-
სამტკიცებლათ საკმაოა, მოვიყვანოთ მაგალითად ჩვენი უკ-
ვდავი გენიოსი შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბა-
რათაშვილი, აკაკი წერეთელი - სულყველა ესენი
დედა-ენის ღრმად მცოდნეებია. არნაკლებ თვალსაჩი-
ნო მაგალითს წარმოადგენს რუსების კრიტიკოსი ბელინ-
სკი, რომელზედ უკეთ, როგორც საყურადღებო პირები ამ-
ტკიცებენ, არც მის წინეთ, არც შემდეგ არავის ცოდნია
სამშობლო ენა.

ქართველები ღვთით, ბუნებით დიდი ნიჭიერი ხალ-
ხია, მაგრამ ძალიან აქვეითებს მათ ის, რომ სამშობლო ნია-
დაგზედ აღზრდა-განათლებას მოკლებული არიან. ადამია-
ნი, ამ უფლებას მოკლებული, კარგავს სულის სიმტკიცეს,
ბუნების სიძლიერეს; მისი გონება ილახება, უძლურდება, სხვა,
მისთვის გაუგებარ ენაზედ სიტყვების ზეპირობით; მაგ:
მთელ თავის აძლევს ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე
ქართველი ყმაწვილი უმცროს კლასში, რომ გაიზეპიროს
მისთვის გაუგებარ ენაზე გაკვეთილი; ის ასრულებს მას
წავლებლის ყოველგვარ მოთხოვნილებას და აღწევს
[Page ე] უფროს კლასებს, მაგრამ დაღალულს. გონება გალახულს

აღარ შეუძლია უფროსი კლასების მოთხოვნილებების ასრუ-
ლება: ან სიკვდილამდის ებრძვის ის თავის მდგომა-
რეობას, ან იძულებულია თავი დაანებოს სწავლას და
წყალწაღებულივით დარჩეს ცხოვრებაში. სიტყვას „წყალ-
წაღებულივით“ მიტომ ვხმარობ, რომ ნამდვილ შედარე-
ბათ მიმაჩნია ამ გვარი ყმაწვილის წყალწაღებულთან
შედარება: მას, ზნეობრივვათ და გონებრივათ გალახულს,
აღარ შეუძლია სრულებით ცხოვრებასთან ბრძოლა,
კეთილდღეობისადმი სიყვარული სრულიად ეკარგება, ბუნე-
ბით ისე უძლურია და ცხოვრებაში იმდენათ სასოწარ-
კვეთილი, როგორც წყალწაღებული, რომელსაც თავის
შვილის იმედი დაკარგვია. ბევრი ამ გვარი ყმაწვილ-
თაგანი თავს აღარ იზოგავს, რომ არ შეუერთდეს ამ
წყალწაღებულების გუნდს, და იღუპება ნამეტანი თავგანწირულის,
უზომო შრომისგან. მაგ: დიდი ხანი არაა, რაც ერთი
სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთი ყმაწვილი ქართველი,
რომელიც ამ ჩვენის გიმნაზიაში სწავლობდა, თავგანწირუ-
ლი შრომით და მეცადინეობით მივიდა უფროს კლასებამდის.
აქ მეტი შრომა მოთხოვა კლასმა; ყმაწვილმაც მეტი თავ-
განწირულებით მიდგა გაკვეთილების უაზროთ ზეპი-
რობას და ამ ნაირათ დიდი ვაი-ვაგლახებით მიაღწია
მერვე კლასს, მაგრამ ამ გვარი მეცადინეობით ყმაწ-
ვილს ტვინი სულმთლიანათ გამოულაყდა და საცოდ-
ვავი ჭკუიდან შეცდა. ამის მიზეზი, რასაკვირველია,
ზემოთ მოყვანილს გარდა სხვაც იყო სახელდობრ: მასწავ-
ლებელ, რომელსაც სრულიად დავიწყებია, ან
[Page 3] არ სცოდნია ჭეშმარიტი პედაგოგის მოვალეობა. აი რას
მოასწავლებს სამშობლო ნიადაგზე აღზრდა-განათლებას
მოკლებულობა, რომელსაც (აღზრდა-განათლებას) უნდა
ჰქონდეს ნიადაგათ დედა-ენა. დღეს განათლებული ქართვე-
ლობის ბევრი ნაწილი აბუჩად იდგებს დედა-ენას და თავი
მოსწონს მით, რომ სხვა ენაზედ შეუძლია მსჯელობა. სადღაა
აქ ნაციონალური ღირსებისადმი პატივისცემა და სიყვა-
რული? განათლებული დედა, რომელიც საქალებო გიმ-
ნაზიაში მიუღია სწავლა, ხშირად თავის გარშემო მყოფთ
ქართულად ელაპარაკება და თავის შვილებს კი რუსულათ
და აგონებს შემდეგ აზრებს: „ჩემმა შვილმა რუსული უნდა
იცოდეს, თორემ უმისოდ არ არგიაო, განათლებას ვერ
შეიძენსო. რასაკვირველია, ყმაწვილი ამ-გვარ აღზრდა-
ში ვერავითარ ზნეობრივ საზრდოს ვერ ჰპოვებს. დე-
დამ ძუძუსთან ერთათ ზნეობრივი საზრდო უნდა აძლიოს
ბავშვს: მისი გული და გონება უნდა იზრდებოდეს სამშობ-
ლოს ნიადაგზე, როგორც ზევითა ნაჩვენები ისეთი აღზრდის გამო
ამ საშუალებას, რასაკვირველია, ყმაწვილი მოკლებუ-

ლია. ის ამ ნაირათ გადაგვარდება და ამასთან გამო-
დის გონებით ჩლუნგი, უგრძნობი, რადგან გრძნობებს
აწოვებს ის წრე ბავშვს, სადაც იზრდება მისი ბუნება
ათ წლამდე. . . . . .

აი ამისათვის ვაარსებთ ჩვენ ამ ჟურნალს, და,
იმედია, ეს შემთხვევა მხურვალე თანაგრძნობას გა-
მოიწვევს ყველა იმათის მხრით, ვინც კი დარწმუ-
ნებულია სამშობლო ენის დიდ მნიშველობაზედ.
აწ სიამოვნებით ვეგებები მეც ამ სურვილის აზრის
განხორციელებას და გულით მსურს ვემსახურო ამ
[Page ზ] წმინდა (აზრს) მიზანს, რომელიც ჩვენ ჟურნალს აქვს
შრომა და ვარჯიშობა ყოველი საქმის დამაგვირგვინე-
ბელია, და ნურც ჩვენ დავიზარებთ შრომას. ჩვენზედ,
მოზარდ თაობაზედაა დამოკიდებული ჩვენი არსებო-
ბის აღდგება და ნუ დავიშურავთ ნურაფერს ამისთა-
ნა საქმის ასასრულებლად.

ი. ს-ღ

1.5.

1.5.1. ვუძღვნი ჟურნალ „ოპპოზიციას“

ძმანო! გვეყოფა რაცა ვიგრძენით,

გამოვიღვიძოთ, ვაჭყიტოთ თვალი !

მშობელს დაცემულს ხელი ვუწვდინოთ

და ავასრულოთ შვილისა ვალი!

*1.5.2. * * **

მას მივეშველოთ, რიცთ შეგვიძლია,

აღარ დავკარგოთ ნაქები კვალი!

მშობელს რითამე რომ გამოადგეს, -

ეს არის შვილის პირველი ვალი !

*1.5.3. * * **

აქამდე მშობელმა გვზარდა, გვიარა,

გვიკაფა ფართე შარა სავალი,

აწ დაუძლურდა, და ჩვენც ვუწიოთ

სამაგიეროთ შვილისა ვალი.

გარეშე.

[Page ზ]

1.5.4. ნადსონიდგან (თარგმანი)

გასწი, ივიწყე მწუხარებანი!
არ შედრკე არა შიშის წინაშე!
იბრძოლე, ბოლოს მაინც გაბრწყინდეს -
ცისკარი, ღამე მოსხივ-კაშკაშე !

*1.5.5. * * *

იშრომე, სანამ ძალ-ღონე შეგწევს,
ცხად იმედები ტყვილა არ ჰფანტო:
სჯობს განათლების, სწავლის სახელზე
პატიოსნების ლამპარი ანთო.

*1.5.6. * * *

დაე ჩირქი გცხონ, ზიზღით გიყურონ,
დაე განგრისხონ ბრბოს განჩინებამ,
დაე უაზრო საყვედურიც გხვდეს, -
არ შეგაშინოს განწირულებამ !

*1.5.7. * * *

გასწი, სულითა არ დაჯაბანდე
და დაადექი შეგან თელილ გზას !
გასწი! ... აპობდე ყმაწვილის მკერდით
ამა ცხოვრების ყოველ გვარ ტალღას !

*1.5.8. * * *

აღვიძე შავი ღრუბელით მოსილნი !
დაცემულთ შევლად ხელი აწვდინე !
სიტყვა მაღალი შეშმარიტების
ხალხში, ვიღ სხივი ცქვიტი, მოჰფინე !
ამხანაგი.

[Page თ]

1.5.9. ნეტარ არს ისა. . . .

ნეტარ არს ისა. ვინაც რომ
ერთ გზას აგდია მტკიცედა,
ვის ვერ აფერხებს ვერა-რა,

გინდ ჭირი მიხვდეს ჭირზედა !

1.5.10. **** * ****

მის თავს იგრგვინოს, იქუხოს,

ზედმა უმუხთლოს უწყალოდ,

იგი მარად სდგეს, არ შედრკეს,

თავსა არ ხრიდეს უბრალოდ, -

1.5.11. **** * ****

მან მიაღწიოს წადილსა,

რაზომცა იყოს ძნელია:

მოთმინება და სიმტკიცე

ყველაფერის საფუძველია.

1.5.12. **** * ****

მხოლოდ ვაი მას, ვინცაა

ყოველგან გული ერჩევა,

ვინც იტყვის: „ეს გზა არ მომწონს:

აქ კრულვა მესმის და წყევა.“

1.5.13. **** * ****

და სხვაგან მიდის: „ვინ იცის,

ზედი რამ შემხვდეს კარგიო,“

მაგრამ ვერც იქ სძლებს დიდ-ხანსა

[Page ი]

და სხვაგან მიაქვს ბარგიო.

1.5.14. **** * ****

ის დაჩვეული წანწალსა,

ერთს ადგილს ვეღარ ჩერდება

და გაჭირვება-შიმშილში

ასე უდროოთ ბერდება.

ს. მ-ღ.

1.5.15. მაშინ იქმნება ეს ჩემი ქნარი . . .

მაშინ იქმდება ეს ჩემი ქნარი

სულის დამტკბობუ, რუსთაველური,

როს განიღვიძებს ხალხი მძინარი,

გრძნობა მაღალი, აზრი ქველური.

*1.5.16. * * *

მანამდი უნდა ქნარი ვატირო,

მეც ზედ ვაკვნესო მწველი ოხვრითა,

ბოროტის გული ვგმო და ვამცირო,

დავმდუღრო მართლის ცრემლების ღვრითაა.

ი. ს-ღ.

[Page ია]

1.5.17. ბატები. (კრილოვიდგან).

გვარიშვილობა რათ გინდა,

კაცო, თუ თვითონ არ ვარგიხარ ?!

ბატებს ნუ დაემსგავსები:

შენ მათი ტოლი არა ხარ !

*1.5.18. * * *

გრძელი წნელით ხელში გლეხი

ბატებს მიერეკებოდა.

(მართალია მოგახსენოთ -

კარგად კი ვერ ეპყრობა!)

*1.5.19. * * *

ქალაქისკენ იჩაქრის,

იქ მოგებას მოელის.

საქმე მოგებაშია . . . .

რა ვქნათ . . . . მიეტოვების . . . .

*1.5.20. * * *

ჩემის მხრით არას ვამბობ,

გლეხს თითქმის არც ვამტყუნებ;

ბატები კი დამჩხავის:

ყურს რათ არ აბარტყუბევ?

*1.5.21. * * *

ხომ ხედავ შენ ამ უგუნურს,

რა ბრიყვულათ გვეპყრობა,

[Page იბ]

თითქოს უბრალო ბატებს

სადმე მიერეკება!

1.5.22. **** * ****

ის კი სულსაც არ არის

ამ ტვინ გამოლეულმა,

რომ მოწიწება შეგვფერსს,

თითქოს გამოლეულა.

1.5.23. **** * ****

ის ჩვენ წინაპართ ღვაწლი,

რომელთ რომ დაიცვეს,

რის სამაგიეროთაც

მათ პატივი დაიდვეს.

1.5.24. **** * ****

იქ თითქმის მათ სახელზე

დღესასწაულებია.

ამას თუ არა ესმის,

შენა გესწავლებია !“

1.5.25. **** * ****

- „კარგი . . . ყველა გავიგეთ,

აქამდისაც ვიცოდით,

მაგრამ , ჩემო ბარტყებო,

თქვენ მისგან რას ელოდებით ? !

1.5.26. **** * ****

მართლაც თქვენ წინაპრებმა

რომი გადაარჩინეს

და სწორეთ კარგი საქმე

იმათ გადაგვირჩინეს.

[Page იგ]

1.5.27. **** * ****

მხოლოდ ეს კი მაკვირვებს,

თქვენ რა ჰქენით ისეთი,

რომ პატივი მიიღეთ?

რათ ვარგიხართ ანცერთი ?!“

*1.5.28. * * **

„ჩვენა? ჩვენ . . . არაფერი . . .

მაგრამ ჩვენი მამები . . . „

- ეს ხომ ჩვენც გავიგონეთ !

ის თქვენი წინაპრები

*1.5.29. * * **

ღირსნი იყვნენ პატივის,

ხალხიც კარგად იგონებს;

თქვენ რაც ტყვილათ არ ყვირით,

არავინ გავიგონებსთ.

*1.5.30. * * **

მეტს კი არ შეგაწუხებთ;

რაც ვსთქვი, მისც უკაცრავათ !

ეს კი იცოდეთ, მხოლოდ

ვარგიხართ თქვენ შესაწვავათ .

*1.5.31. * * **

არავის გაგიძნელდება

თუმცა კი შეიძლება,

მაგრამ ბატების ხათრით

ვინმე დამემდურება.

კირავოზათ ნამყოფი.

[Page იდ]

1.6. რამოდენიმე მოქმედი პირი ე. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“-სი

უდროოთ დაკარგული ნიჭიერი ბელლეტრის-
ტი ნინოშვილი მრავალი მხრით შეეხო ჩვენს ცხოვ-
რებას; მან მრავალი ახალი ტიპი გამოიყვანა მიმა-
ლულ კუნჭულიდან და დაგვანახა მისი კარგი და
ცუდი მხარეები. მოთხრობა „ქრისტინეში“ ის ეხე-
ბა გურიის ცხოვრებას და გვაძლევს მისი ავ-კარ-
გის უტყუარ სარკეს, რომელშიც ზიზღით ვუყუ-
რებთ უქმაძეებს, ძველისუნიძეებს, პირიმზისა და ნატა-
ლიას მსგავს ბებრუხანებს, რაოდენიმე პატივის ცე-
მით მაშოს და განუსაზღვრელი სიბრალულით ქრი-

სტინეს, მის მშობლებს, აგრეთვე სონასაც, თუმცა მი-
სი ხასიათი რაღაც ძლიერ მკრძალათ არის გამოხა-
ტული. ამ მოთხრობის უმთავრესი პირები არიან
ქრისტინე და იასონ უქმაძე, მაგრამ უკეთესი იქმნე-
ბა, მგონია, ჯერ მათი მშობლები გავიცნოთ, რად-
გან ქართული ანდაზა ამბობს: „დედანახე, მამა ნახე,
შვილი ისე გამონახეო.“

იასონის მამა, ბეჟან უქმაძე, არის შეძლე-
ბული, თავმომწონე და ამაყი აზნაური; სწავლა-განა-
თლებას ის არ შეუწუხებია და არც თვითონ აწუხებს
მით შვილს: იმდენ სწავლას აძლევს მას, რომ წე-
რა-კითხვა და ცოტა რუსული ლაპარაკი შეიძლოს,
[Page იდ] თავი ირჩინოს, „ ფილოსოფიათ კი არ უნდა!“ რო-
გორც ძლიერ თავმოყვარე, ამაყი აზნაურები, ბეჟა-
ნი „უმალ სასიკვდილოთ გაიმეტებს თავის ია-
სონს, სანამ გლეხი-ქალის შერთვის ებას მისცემს; “
ის ზრდის შვილს ფუფუნება-თავისუფლელბაში; თა-
ვის დღეში არ წარმოიდგენს, რომ შვილს ჩაუნერ-
გოს გულში მოძმის სიყვფარული, ღარიბების სიბ-
რალული.

გასაკვირვი არაა ასეთ მამას ცუდი
შვილი გამოუვიდეს. იასონი მამას ბევრითაც
ასწრებს თავის ცუდი ზნე-ჩვეულებებით. ფუფუნე-
ბაში აღზრდილს „დისციპლინა“ მას არაფრათ ეპი-
ტნავება, სწავლა სძულს, დიდგულობს, მასწავლე-
ბელი ლახავს. სკოლიდან გამოგდებული ის დგე-
ბა მწერლად მაზრის სამმართველოში, მის
დაუდეგარ გაფუჭებულ ხასიათს არც მწერლო-
ბა ეჭაშიკება, იქაც მაყობას იწყებს და იქიდამაც
მალე გამოაბრძანებენ; მუშაობა სძულს, არ
კადრულობს; ზის უქმად მამის ოჯახში; ჭამა, სმა,
ჩაცმა, დახურვა, ძილი, მთქნარება და უთავბოლო
ზმორებაც ხდება მის მუდმივ საქმე. ამ გვარი ცხო-
ვრებაც მალე მოსწყინდა იასონს; ის იწყებს
სოფელ-სოფელ ხეტიალს, გაიცნობს გლეხების
ოჯახობას, ახშირებს მათთან სიარულს, უახლოვ-
დება გლეხის ახლაგზარდა ქალებს, ბევრ ოჯახს
ბღალავს, ბევრ ქალს ნამუსს ხდის, ბევრ ცოლ-ქმარს
ჰყრის; მიზნის მისაღწევად ყოველ გვარ უსვინ-
დისობას ეწევა; უარ ჰყოფს პატიოსან სიტყვას,
[Page ივ] უარ ჰყოფს ნათესაობის წეს-რიგს, უარ ჰყოფს
ფიცს, თუკი ქრისტინეს ჩაიგდებს ხელში და თა-

ვის მხეცურ სურვილს მოიკლავს. როგორც (ქრი-
სტინეს დედის) შვილობილი, იასონი ხშირათ და-
დის ქრისტინეს დედასთან, თუმცა გულში კი
იცინის: "რამდენი დედა მყავსო!" ის ეძებს შემ-
თხვევას სიყვარული გამოუხადოს ქრისტინეს და,
როდესაც იშოვნის, მაცდურ გველივით შეუჯდება
მას გულში და, ბევრი ცდის შემდეგ, პოულობს ალაგს
და თან-და-თან უფრო მკვრივდება შიგ; აძლევს ქრის-
ტინეს პატიოსან სიტყვას, აძლევს ფიცს, ცოლათ შე-
გირთავ და გაგაბედნიერებო; მაგრამ ატყუებს; სად
არის მასში ამდენი პატიოსნება, იმდენი სვინდისი და
ვაჟკაცური გრძნობა, რომ გაიფიქროს ქრისტინეს მშობ-
ლების გაბედნიერება, რომ წარმოიდგინოს, რა
მოელის მისგან ნამუს ახდილ ქრისტინეს?! ია-
სონი ლეჩაქს ხდის ქრისტინეს, სამუდამოდ მოუ-
შორებელ ჩირქს სცხებს მის ქალწულობას, მის პა-
ტიოსნებას და რა მიაღწევს მიზანს ქრისტინეს თავს
ანებებს, და მდიდარ აზნაურის ქალზედ იწერს ჯვარს,
ქრისტინეს კი სრულიად ივიწყებს; მხოლოდ თუ
სადმე ჩამოაგდებენ ლაპარაკს ქრისტინეს სილამა-
ზეზედ, იასონი თავმომწონეთ ამბობს: „მე შევაცდი-
ნე ასეთი ლამაზი ქალიო.“ ერთხელ, როდესაც ია-
სონი და მისი მეუღლე ცხენებით დასეირნობენ,
გზაზე შეხვდა მათ ქრისტინე, რომელმაც მოღალატე
[Page იზ] და გაუტანელი უწოდა იასონს. ეს აირია და გაჯავრე-
ბით წარმოსთქვა: „ნეტა რა უნდა ჩემგან ამ უნამუსო
დედაკაცს? მომშორდი, თორემ?!..“ შეიძლება, ამ სი-
ტყვებს სხვა რამ უწესობააც მოჰყოლოდა, რომ ცოლს
არ დაემშვიდებია იასონი. - არ ვიცი ამ კაცს საგუ-
ლეში კაცის გული უძევს, თუ არა ქვა! არა, ქვა
უნდა ედვას: იასონი თამოყვარეა, ამაყია,
თავმომწონეა; მაგრამ ეს კი მაკვირვებს, რისთვის ვერ
წარმოუდგენია მას, ამ თავმოყვარე ყმაწვილს, რომ
სხვებსაც ექნება ასეთი თავმოყვარეობაო! თუ ეს წარ-
მოდგენილი აქვს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის,
ჩვენ უნდა ვუწოდოთ მას მხეცი, რომელსაც თავის მძო-
რის დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვს რა; თუ კი
ადამიანის რიცხვში მივიღეთ - მაშინ უნდა დავარ-
ქვათ გარყვნილი თვით მოყვარე (себялюбивый), რო-
მელიც ცოტათი განსხვავდება მხეცისგან.

აი ასეთ კაცს უვარდება ხელში ქრისტინე,
გლეხის დათია ხელმოკლიძის ასული. დათია
ერთი ღატაკი, ცოლ-შვილით დატვირთული,

მუდმივი მუშა, მეზობლობის მცოდნე, ცოლ-შვი-
ლის მოყვარული გლეხია, მასთან სავსე პატი-
ოსნური თავმოყვარეობით. ოფლის ღვრით, წე-
ლებზე ფეხის დგმით დათია შოულობს ლუკმა
პურს; ნახევარს ბეჟან უქმაძის ადგილში მუ-
შაობს; სცდილობს, ბეჟანი არ გადაიმტეროს,
ოჯახი წმინდათ პატიოსანი შეინახოს, ერიდება
სოფლის ხმების, სოფლის ყბათ აღებას.
[Page იზ] რაც ღარიბ გლეხს მოეთხოვება, დათია კარგათ ინა-
ხავს ცოლ-შვილს; თავი მოსწონს შვილებით, მეტადრე
ქრისტინეთი, და მხიარულია, როდესაც სადმე შეკრები-
ლობაში მისი ქება ისმის. თუმცა მას ძლიერ უყვარს
ქრისტინე, მაგრამ ოჯახის შებღარვას კი ვერ უთბენს; მისი
ცუდი ყოფაქცევით თავზარდაცემული დათია თითქმის სა-
სიკვდილოთ იმეტებს თავის საყვარელ, სასიქადულო ქრის-
ტინეს, არ აკლებს ცემა-ტყეპას, თმით თრევას; ის არ უთმენს
ოჯახის დამცირებას, გაუპატიურებას იასონ უქმაძეს; უგზავ-
ნის მოციქულებს, ქრისტინე შეირთეო; სასამართლოშიაც
უჩივის, მაგრამ ვერას ხდება თავის გამოუცდელობის და
სიღატაკის გამო; იასონი თავს იმართლებს ვექილის
შემწეობით. დათია ხდება ყბად აღებული, წყალწაღებუ-
ლი; იასონზე ჯავრს ვერ იყრის; ისევ მიდგება საბრა-
ლო ქრისტინეს და ლანძღვა-გინებით და წყრომით სიცო-
ცხლეს უმწარებს. ბოლოს მაინც თან-და-თან ლბება მშო-
ბლის გული, დათია თან-და-თან იბრალებს ქრისტინეს.
ხანდახან გოგის ტირილით გაჯავრებული
ის უწყრება ქრისტინეს, ბავშვებს ნუ ატირებ და ნუ მაწუხებო.
როდესაც ქრისტინე შინიდგან თბილისს იპარება, დათია
ვიღაცის რჩევით მიდის იქ და გულმოდგინეთ ეძებს ქრის-
ტინეს, მაგრამ ვერას ხდება, რადგან გამოუცდელი, კარში
გამოუვალი კაცია; ბრუნდება შინ ხელცარიელი და მიეცე-
მა უზომო ჯავრს: ვეღარ მუშაობს, ვერც სვამს და ჭამს მო-
სვენებით; ხანდისხან ისე ღრმათ, გულსაკლავათ ამოიოხრავს,
„ვაი ჩემ დღეს, რა შვილი დამეღუპაო, რომ გეგონება, გუ-
ლი შუაზედ გაუსკდაო.

[Page ით]

ამ პატიოსან პირს ჰყავს სწორეთ შესაფერი
მეუღლე, მარიკა. ეს, როგორც დათია. არის ერთი
ალალ-მართალი ადამიანი, უფროსთან თავდაბალი,
ქმარ-შვილისათვის თავგადადებული, ხანდისხან
ფიცხი, (როგორც გურული ქალი,) მაგრამ ძლიერ მგრძნო-
ბიარე, სუსტი გულის არსება. ქრისტინეს ყოფაქცე-

ვით თავზარდაცემული მარიკა სწყევლის მას და ეხვეწება ღმერთს მის მალე სიკვდილს, მაგრამ ის, როგორც დედა, სწყევლის ქრისტინეს მხოლოდ ენით, გულში კი უთუოთ ხელს იცემს, რა წარმოსთქვა ეს ჩემმა ბოროტმა ენამო! როდესახ ქრისტინე ეუბნე-ბა მარიკას, „შენ და მამა-ჩემს ჩემი სიკვდილი გინდათ ბარემ მომკალითო,“ მარიკას ფული უსკდება, თვალებზე ცრემლები ადგება და გულამოსკვნით ამბობს: „მე მინდა შე-ნი სიკვდილი, მე?! თუ გიწყრებით მე და მამა შენი, ისევ შენი გულიზა, თავი რეიზა წეიხდინეო.“ ქრისტინეს დაკარგვა შუა უყოფს სიცოცხლეს დედას: „ის მიუჯდება ღოჯეს, სადაც ქრისტინეს უყვარდა ჯდომა, და მოსთქვამდა თავის ბედკრულ შვილს.“ მხოლოდ მარჩი-ელის სიტყვებით აიმედებს თავს და მოთმინებით ელის ქრისტინეს დაბრუნებას; რამდენი ქალი გაივლის გზაზე, მარიკას ყველა ქრისტინე ჰგონია და წინ ეგებება, მაგრამ ქრისტინე არ ჩნდება. დაჯავრიანდება მარიკა, შეს-ძულდება უქრისტინეოთ ცხოვრება, შესძულდება სმა-ჭამა, მის თვალებს ძილი არ ეკარება; თუ ხანდისხან მილულავს ის თვალს, ათას ნაირი სიზმარი გულს უღრღნის და მოსვენებას არ აძლევს.

(შემდეგი იქნება)

ქ-რელი.

1.7.

[Page კ]

1.7.1. გაბრიელი

ამა სამოთხებრ შემკულ ქვეყაბას

ანათებს ერთი დიდი ვარკლავი,

ღვთით მოვლენილი, მოხუცი ბრძენი,

ღვთის სიყვარულის გულს დამნერგველი,

ჭკუით მაღალი, გულით დაბალი,

ანგელოზებრივ პირმოცინარი, -

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი

გაბრიელ დიდი, მშვიდი ვით კრავი.

ვინმე

1.7.2. ყანწს (ხალხური ლექსი).

კახური ღვინით აღვსილო,

გული მიგრილე;

როს მტრის საბრძოლათ წავიდე,

სიმხნევე მომე!

*1.7.3. * * **

მტერს ვძლიო სამშობლოსი,

მტერი ორგული;

არ დავბრუნდე შერცხვენილი,

თავსლაფ დასხმული.

Home

Date: 20 December 2019